ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2017 წლის შესრულებული სამუშაოს ანგარიში

სარჩევი

შესავალი ---------- 1

არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა ---------- 2

ეკონომიკური დეპარტამენტი (ბიუჯეტი) ---------- 6

ადმინისტრაციული დეპარტამენტი ---------- 7

2017 წელს გამართული შეხვედრები ---------- 8

2017 წელს ვიზიტები ---------- 9

გაფორმებული მემორანდუმები ---------- 10

რეგიონული მართვის დეპარტამენტი ---------- 11

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი ---------- 12

სახელმწიფო ჯილდოები ---------- 13

პროექტების დაგეგმვისა და მართვის ჯუფი ---------- 15

სოციალურ საკითხთა და სააღრიცხვო - ანალიტიკური დეპარტამენტი ---------- 16

სააღრიცხვო - ანალიტიკური განყოფილება ---------- 16

ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და

საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისია ---------- 18

სოციალური განყოფილება ---------- 19

მემორანდუმის ფარგლებში გაწეული მომსახურება ---------- 20

2018-2019 წლის პრიორიტეტები ---------- 23

შესავალი

- 2004 წლიდან 2011 წლამდე რეგისტრაცია გაიარა და ვეტერანის სტატუსი მიენიჭა - **44 235** ვეტერანს.
- 2011 წლიდან დღემდე ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ვეტერანების რეგისტრაცია დინამიკაში შემდეგნაირად გამოიყურება:

წელი	ვეტერანების რაოდენობა
2004 - 2010	44 235
2011	48 968
2012	50 667
2013	58 566
2014	63 695
2015	65 684
2016	67 651
2017	69 187

არსებული მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა

2017 წლის მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობა **3,7** მილიონს შეადგენს. აქედან ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების საერთო რაოდენობა შეადგენს **69 281** (2017 წლის დეკემბრის მონაცემები).



დღეისათვის სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში რეგისტრირებულია:

- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანი - 769
- სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების მონაწილე ვეტერანი - 3 010
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე ვეტერანი (1992-93წწ) – 31 924
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე ვეტერანი (2008 წ) – 17 336
- სამხედრო ძალების ვეტერანი - 1 118
- მარჩენალდაკარგული - 8 792

კანონმდებლობაში არსებულმა ხარვეზებმა, ვეტერანთა მძიმე მატერიალურმა მდგომარეობამ, უმუშევრობის მაღალმა მაჩვენებელმა, საზოგადოების მხრიდან არაჯეროვანმა დამოკიდებულებამ გააჩინა სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ვეტერანები. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებულია - **13 143** ვეტერანი და მათი ოჯახის წევრები.

შშმ ვეტერანების კატეგორიები	რაოდენობა
I ჯგუფი - მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	182
II ჯგუფი - მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	1 840
III ჯგუფი - ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	722
სულ:	2 744

2017 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული და შესრულებული ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო ხარჯი
54 00	სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	6 400 000	6 400 00	5 817 986
	შრომის ანაზღაურება	1 630 000	1 750 000	1 750 000
	საქონელი და მომსახურება	1 500 000	1 380 000	1 316 713
	სოციალური უზრუნველყოფა	1 740 000	1 115 000	1 103 169
	სხვა ხარჯები	40 000	40 000	38 041
	სუბსიდიები	220 000	220 000	188 000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 270 000	1 895 000	1 422 063

საქმისწარმოების განყოფილების მიერ არასაიდუმლო დოკუმენტბრუნვის რაოდენობამ შეადგინა - 29 578

მოქალაქეების მიერ სამსახურში შემოტანილმა განცხადებების საერთო რაოდენობამ შეადგინა - 7 364

2017 წელს გამართული შეხვედრები:

- **ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი შეხვდა თავდაცვის მინისტრს.** შეხვედრაზე ვეტერანთა პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს; ასევე მეორე საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის თანამშრომლებთან. შეხვედრაზე ძირითადი აქცენტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესზე, ვეტერანებთან მჭიდრო თანამშრომლობასა და მათი გამოცდილების გაზიარებაზე გაკეთდა. დაისახა ერთობლივი სამომავლო გეგმებიც პრობლემების ეფექტურად მოსაგვარებლად;
- **ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორმა შეხვედრა გამართა ეროვნული გვარდიის ყოფილ მრჩეველთან სი ჯეი ნატერთან.**
- **ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორი შეხვდა „წითელი ჯვრის“ საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლებს.**

2017 წლის ვიზიტები

- ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის თანამშრომლების ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში - ფორუმზე „სამშვიდობო მისიის ვეტერანები - მშვიდობისა და ურთიერთგაგებისათვის“ დასასწრებლად.

- უკრაინის დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორისა და თანამშრომლების ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში, ქალაქ ხერსონში. ღონისძიებების ფარგლებში, მოეწყო ქართველი და უკრაინელი მებრძოლების ფოტოგამოფენა - „ისინი საქართველოსა და უკრაინისთვის იბრძოდნენ“.

გაფორმებული მემორანდუმები

- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ვეტერანთა შემოქმედებით კავშირს შორის;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და სასწავლო-საცურაო კომპლექს „ოლიმპიკს“ შორის;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და შპს „აკადემიკოსს გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის“ კლინიკასთან;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ა(ა)იპ ვეტერანთა კავშირ „დიოსკურია“-ს შორის;
- გაფორმდა ხელშეკრულება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის;
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან.
- გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და გლდანი-ნაძალადევის კომპლექსურ სპორტულ ცენტრს შორის.

რეგიონული მართვის დეპარტამენტი

2015 წლიდან ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა ქ. თბილისის მერიის ხელშეწყობით დედაქალაქის 10 რაიონში და საქართველოს ყველა რეგიონში საკუთარი წარმომადგენლობები შექმნა. სამსახურის წარმომადგენლები ვეტერანებს სოციალურ - ეკონომიკური და საყოფაცხოვრებო საკითხების გადაწყვეტაში ეხმარებიან.

რეგიონული მართვის დეპარტამენტის რაიონული და რეგიონული წარმომადგენლების მიერ 2017 წელს კონსულტაცია გაეწია - 17 752 ვეტერანს. ადგილობრივი თვითმმართველობის მუნიციპალიტეტებიდან დაფინანსდა 4 375 ვეტერანი.

- 29 - საჯარო სკოლაში გაიხსნა მებრძოლთა მემორიალური დაფა;
- 14 - საჯარო სკოლას მიენიჭა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების სახელი;
- 18 ქუჩას მიენიჭა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული გმირების სახელი.

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი

სამსახურის ფუნქციების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სამსახურის დირექტორის № 182 ბრძანების პროექტის და საქართველოს მთავრობის 6 სამართლებრივი აქტის პროექტის შემუშავებაში, რომელთაგან აღსანიშნავია:

- სამსახურის დირექტორის ბრძანებით, დამტკიცდა ვეტერანთა მოწმობების გაცემის ახალი ინსტრუქცია და მასში განხორციელებული ცვლილებები. ახალი ინსტრუქციით მოწესრიგდა ისეთი საკითხები როგორებიცაა: სტატუსის შეწყვეტა, სტატუსის აღდგენა, საქმისწარმოების ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

- განხორციელდა ცვლილება ,,ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის“ სხდომის ოქმების ნიმუშები;

- განხორციელდა ცვლილება ,,ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიის მუშაობის წესში“.

- ,,საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესში“ ცვლილებით დაზუსტდა დახმარების მიმღებ პირთა წრე, დახმარების პერიოდულობა და დახმარების სახეები;

- შეიქმნა და დამტკიცდა სამსახურის სათათბირო-საკონსულტაციო საბჭოს დებულება;

- ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ სამსახურის დირექტორის ბრძანების პროექტი.

ვეტერანთა სახელმწიფო ჯილდოებზე წარდგენის საინფორმაციო-სამართლებრივი ხელშეწყობა

დეპარტამენტმა უზრუნველყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენის მიზნით საჭირო დოკუმენტაციის მომზადება. დეპარტამენტის მიერ მომზადებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შუამდგომლობა მომზადდა **66** სამხედრო მოსამსახურეზე.

- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში არსებული ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის თანახმად 2009 წლის 5 ნოემბრის შემდეგ, ვეტერანის სტატუსი მიენიჭა - **7 295** პირს. რომელთაგან სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2016 წლის 29 ივნისის ინფორმაციის თანახმად, საყოფაცხოვრებო სუბსიდია დანიშნული აქვს - **2 717** პირს.

- საქართველოს მთავრობის შესაბამის დადგენილებაში ცვლილების განხორციელებით საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნის უფლებას მოიპოვებს - **4 578** პირი (იმ შემთხვევაში, თუ არ იარსებებს მათთვის საყოფაცხოვრებო სუბსიდიის დანიშვნაზე უარის თქმის კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი).

- 2017 წლის 1 ოქტომბრის მონაცემების მიხედვით, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, თავისუფლების აღკვეთის მიზნით 2009 წლის 5 ნოემბრიდან შეწყვეტილი აქვს - 152 პირს.

- **პროექტების დაგეგმვისა და მართვის ჯუფის** მიერ შემუშავდა საქართველოში მომქმედი ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებში ჩართვის მსურველ ვეტერანთა საინფორმაციო ბაზა.
- 2017 წლის 1 მარტს საქართველოში მომქმედი ბიზნესის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო მომსახურების პრეზენტაცია გაიმართა დაინტერესებულ ვეტერანთათვის.
- ააიპ „FESR"-თან, ვეტერანების სახელმწიფო სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად საქართველოს რეგიონებში ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისათვის გაწერილი გრაფიკის შესაბამისად, ატარებს ბიზნეს-გეგმებისა და პროექტების შექმნის პრაქტიკულ სწავლებებს.

წარდგენილი პროექტები :

დასახელება	რაოდენობა	ბიუჯეტი
ინოვაციური პროექტი „სტარტაპ საქართველო"	1	5000 -15 000 ლარამდე
საგრანტო პროექტი, სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში"	15 (3 - თბილისი; 7 - კახეთის რეგიონი; 1 შიდა ქართლი; 2 გურია; 2 აჭარა).	

აღნიშნული პროექტების წარდგენა მოხდა მაისის თვეში და განხილვის პროცესშია.

სოციალურ საკითხთა და სააღრიცხვო - ანალიტიკური დეპარტამენტი

სააღრიცხვო - ანალიტიკურ განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა - 3 837

დასახელება	რაოდენობა
სტატუსის მაძიებელთა ანკეტა - განაცხადი დამუშავებული იქნა	2 036
სტატუსი მიენიჭა	1 330
დაუბრუნდა რეგიონს ხარვეზის გამოსასწორებლად (არასრული საბრძოლო მოკვლევა; მეორედ ქორწინების ცნობის არ ქონის გამო; დართულ დოკ. გვარის ან მამის სახელის უზუსტობის გამო)	38
საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენ კომისიას განსახილველად გადაეცა	46
სტატუსის მისანიჭებლად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი კომისიიდან შემოვიდა	210
ვეტერანის დამადასტურებელი დროებითი ცნობა გაიცა	627
სტატუსის მინიჭებაზე უარი ეთქვა	17
გარდაცვალების გამო სტატუსი შეუჩერდათ	2 697
აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ცვლილება/ვეტ.მოწმობის აღდგენა	297
ვეტერანის მოწმობა დაიბეჭდა	2 512
ცნობა კომპენსაციის მისაღებად გაიცა	20
ვეტერანთა მონაცემების ცვლილებასთან დაკავშირებით გაგზავნილი წერილები	238

ვეტერანთა აღრიცხვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზის სრულყოფის მიზნით გადამოწმდა :

- ომში დაღუპულის ოჯახის წევრის - **3 128** პირის ანკეტა-განაცხადი ;
- მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე - **155** პირის ანკეტა - განაცხადი;
- მარჩენალდაკარგული სტატუსის მქონე - **1 252** პირის ანკეტა - განაცხადი;

2017 წელს ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენ კომისიაზე შემოვიდა - **615** განცხადება.

- 2017 წელს ჩატარდა ვეტერანის სტატუსის მაძიებელთა საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის და საბრძოლო მოქმედებებში დაღუპვის ფაქტის დამდგენი **67** კომისია.
- გასვლითი კომისია - 5; სპეციალური კომისია - 15; დროებითი კომისია - 2 (იმერეთი,შიდა ქართლი).

ჩატარებული კომისიის შედეგების ცხრილი.

დაუდგინდა	უარი ეთქვა	არ გამოცხადდა	კომისია აქვს გასავლელი
572	176	170	29

სოციალური განყოფილება

დასახელება	რაოდენობა	ხარჯვითი ნაწილი (ლარი)
2017 წელს განხილული კორესპონდენცია	4 244	
სამედიცინო მომსახურება გაეწია და კომისიური წესით დაფინანსება მიიღო	1 940	818 120
სარიტუალო ერთჯერადი მატერიალური დახმარება (500 ლარი)	604	302 000
ადგილობრივ და ცენტრალურ სახელისუფლებო სტრუქტურებთან გაგზავნილი შუამდგომლობები	1 915	
ბროშურა „ვეტერანი“ გამოიცა 5 ნომერი	25 000	

მემორანდუმის ფარგლებში გაწეული მომსახურება

- ლაიონსების თვალის კლინიკაში პირველადი, უფასო ოფთალმოლოგიური გამოკვლევა ჩაუტარდა **50** ვეტერანს.
- ოფთალმოლოგიური გამოკვლევის ღირებულება შეადგენს **40** ლარს.
- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და საერთაშორისო ორგანიზაცია "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში სამსახურის მიერ **2017** წლის იანვრიდან დღემდე ეტლ-სავარძელი გადაეცა **62** შშმპ ვეტერანს.
- სხვადასხვა სახის სამედიცინო შემოწმება გაიარა **1 137** ვეტერანმა და მისმა ოჯახის წევრმა.
- სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურსა და სასწავლო საწყალოსნო კომპლექს ,,ოლიმპიკ'-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მომსახურება გაეწია - **696** ვეტერანს და მათი ოჯახის წევრებს.
- საცურაო აუზის ღირებულება ვეტერანებისთვის შეადგენს 100 ლარს. შესაბამისად **696** ვეტერანს დაეზოგა **69 600** ლარი.
- გ. ჩაფიძის გადაუდებელი გულის ცენტრში, მემორანდუმის ფარგლებში მომსახურეობა გაეწია - **1 345** ვეტერანს.
- გულის ექოსკოპიის ღირებულება შეადგენს - **50 -70** ლარს; კარდიოლოგის კონსულტაცია - **40 - 70** ლარი; კორონოროგრაფია - **700 -800** ლარი, რომელიც გადაუდებელი ჰოსპიტალიზაციით (ოპერაციის ჩვენებით) კეთდება. გ. ჩაფიძის გულის ცენტრში ვეტერანებმა დაზოგეს **90** ლარიდან **800** ლარამდე.
- ფილტვებისა და ტუბერკულიოზების ეროვნულ ცენტრში მემორანდუმის ფარგლებში მომსსახურეობა გაიარა - **55** ვეტერანმა.
- ექიმის კონსულტაციის ღირებულება შეადგენს **40 – 70** ლარს; სპირომეტრია-სპიროგრაფია - **40** ლარი; რენტგენი - **40** ლარი. ფილტვებისა და ტუბერკულიოზების ეროვნულ ცენტრში ვეტერანებს დაზოგეს **80** ლარიდან **120** ლარამდე.

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისთვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაგზავნილი და ანაზღაურებული თანხების შესახებ ინფორმაცია, წლების მიხედვით.

წელი	გადაგზავნილი თანხა	ანაზღაურებული თანხა
2014	10 695 899	10 472 888
2015	15 520 026	15 351 430
2016	19 314 868	19 063 284
2017	17 456 181	11 863 595

2017 წელის მოთხოვნილი თანხები
დამუშავების პროცესშია

2013 წლის 1 ივლისიდან საქართველოში ვეტერანებისთვის ამოქმედდა საყოველთაო დაზღვევა, რომელიც ითვალისწინებს ამბულატორიულ, გადაუდებელ ამბულატორიულ და სტაციონალურ მომსახურეობებს. ასევე ონკოლოგიას, მშობიარობასა და სამკურნალო საშუალებების ანაზღაურებას.

2014 წელს საყოველთო დაზღვევის ფარგლებში ვეტერანებზე ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა **10 472 888** ლარი.

საყოველთაო დაზღვევა არ ითვალისწინებს გეგმიურ ამბულატორიულ გამოკვლევებს, რაც გახდა მიზეზი 2015 წელს ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურში ამოქმედებულიყო „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის სამედიცინო მომსახურებისა და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისია“, რომლის მუშაობის შედეგად ვეტერანებს მიეცათ საშუალება მიეღოთ დაფინანსება წინასაოპერაციო აუცილებელ გამოკვლევებზე, მედიკამენტებსა და სხვადასხვა სამედიცინო მომსახურებაზე.

ამ პროგრამის ამოქმედებამ საგრძნობლად გაზარდა იმ ვეტერანთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს საყოველთაო ჯანდაცვის სადაზღვევო პაკეტით. 2016 წელს საყოველთო დაზღვევის ფარგლებში ვეტერანებზე ანაზღაურებულმა თანხამ შეადგინა **19 008 744** ლარი.

ვეტერანთა საყოველთაო სადაზღვევო პაკეტი ზოგ შემთხვევაში არ ითვალისწინებს ვეტერანებისათვის ყველაზე ხშირად დამახასიათებელი დაავადებების მკურნალობას.

ვეტერანების მკურნალობის მოთხოვნადი მიმართულებებია: გულსისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიები, ფსიქოსომატური პათოლოგიები, ნევროლოგია, უროლოგია, ძვალსახსართა პათოლოგიები, გასტროენტეროლოგია, ოფთალმოლოგია, სოციალური დაავადებები: ტუბერკულოზი, ალკოჰოლიზმი, ნარკომანია.

ყველაზე იშვიათად გვხვდება: რეპროდუქტოლოგია, ჭარბი წონის კორექცია.

2018 – 2019 წლის

პრიორიტეტები

- ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი, სოციალურ-ეკონომიკური და სამედიცინო მომსახურების საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა.
- სამშობლოსთვის თავდადებულ მებრძოლთა ხსოვნის უკვდავსაყოფად, ვეტერანების ღვაწლისა და დამსახურების სათანადო აღიარების, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად საგანმანათლებლო ლიტერატურის, ბროშურების, ვიდეორგოლების, ვეტერანთა მოწმობებისა და მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული სამკერდე ნიშნების დამზადება და გაცემის უზრუნველყოფა.
- ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების შესახებ სრული, განახლებული საინფორმაციო ბაზის შექმნა.
- არქივში დაცული მატერიალური დოკუმენტაციის ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა.
- ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში არსებული ინფორმაციის დაცულობის უზრუნველყოფა.

- მატერიალური დოკუმენტბრუნვიდან ელექტრონული (EFLOW) საქმისწარმოებაზე გადასვლა, როგორც შიდა, ასევე სხვა უწყებებთან მიმართებაში.
- EFLOW სისტემის უსაფრთხოების დაცვა.

- საკანონმდებლო ინიციატივების პაკეტის მომზადება და წარდგენა, რომლის ეტაპობრივი განხორციელება უზრუნველყოფს ვეტერანთა ნაწილისათვის დისკრიმინაციული შეზღუდვის მოხსნასა და დაუბეგრავი მინიმუმის დაწესებას (ავღანეთი, უნგრეთი და ა.შ.) და შემდგომში მისი ოდენობის გაზრდას.
- სამსახურის უზრუნველყოფა საინფორმაციო სისტემებისა და ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებებით.

- რეგიონული სამმართველოების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა და შესაბამისი განთავსების პირობებით უზრუნველყოფა.
- ვეტერანების გამოცდილების გამოყენება ორგანიზებული და სწრაფად მობილიზებადი რეზერვის შესაქმნელად კრიზისული სიტუაციების დროს (სტიქიური უბედურებები, ტექნოგენური კატასტროფები და ა.შ.)
- სამოქალაქო თავდაცვის სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე ვეტერანების აქტიური გამოყენება.

- ვ. სანიკიძის სახელობის სამხედრო ჰოსპიტალის განთავსების ადგილის შეცვლა ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.
- ქ. თბილისში ვეტერანების სრულფასოვანი სამხედრო ჰოსპიტალის ასაშენებლად საოგანიზაციო-ტექნიკური საკითხების დარეგულირება (საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად)
- ვეტერანების ფიზიკური რეაბილიტაციის მიზნით აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოძიება და მისი შესაძლებლობების გამოყენება.

- ვეტერანების ჩართვა სახელმწიფოში მოქმედ პროფესიულ მომზადება-გადამზადების პროგრამებში.
- ვეტერანების ინტელექტუალური და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსსა და წარმოების სხვა სეგმენტებში.
- ვეტერანების ხელშეწყობა ბიზნესში წარმატების მისაღწევად და ამ მიზნით შესაბამისი საბანკო და საფინანსო ორგანიზაციებიდან მოკლევადიანი და შეღავათიანი კრედიტების აღებაში დახმარება.
- ვეტერანების ჩართულობა საგანმანათლებლო, სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრულ ორგანიზაციებთან მომავალი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის ხელშეწყობის მიზნით.

- ვეტერანების კავშირ-ურთიერთობების გამოყენება აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან მიმართებაში, სახალხო დიპლომატიის კუთხით.
- საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ წარმომადგენლებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობების კოორდინაცია და განვითარება. საერთაშორისო კონფერენციის ჩატარება ამ სახელმწიფოთა ელევანტურ სტრუქტურებთან ახლო ურთიერთობების დამყარებისა და მათი გამოცდილების გაზიარებისა და დანერგვის მიზნით.
- სამსახურს სტრუქტურის დახვეწა და საშტატო ოპტიმიზაცია.

2017 წლის სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის გაწეული სამუშაოს ანგარიში შემუშავებულია სამსახურის დეპარტამენტების და ცალკეული სამმართველოების მიერ წარმოდგენილი წლიური ანგარიშის მიხედვით.

გმადლობთ ყურადღებისთვის!